

## მიმოხილვა



გამჭვირვალობა

**87/100**

(„ღია ბიუჯეტის ინდექსის“ ქულა)



საზოგადოების  
მონაწილეობა

**44/100**



საბიუჯეტო  
ზედამხედველობა

**74/100**

## კვლევის შესახებ

ბიუჯეტის შესახებ მთავრობის გადანყვეტილებები - რა გადასახადები დაანესოს, რა მომსახურება მიიწოდოს და რა მოცულობის ვალი აიღოს - საზოგადოების ყველა წევრზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. როდესაც მთავრობა გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩასართავად მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის და ქმნის შესაბამის საკომუნიკაციო არხებს, ჩვენ შეგვიძლია უკეთ უზრუნველყოთ ის, რომ საჯარო ფული საზოგადოების ინტერესების შესაბამისად დაიხარჯება.

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ მსოფლიოში ერთადერთი დამოუკიდებელი, შედარებადი და ფაქტებზე დაფუძნებული კვლევითი ინსტრუმენტია, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კრიტერიუმებს იყენებს შემდეგი საკითხების შესაფასებლად: ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობა; საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ფორმალური შესაძლებლობები; და საბიუჯეტო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ისეთ ინსტიტუტების როლი როგორცაა პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

კვლევა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას ეხმარება, შეაფასოს საჯარო ფინანსების გამოყენება და რეკომენდაციები მიიწოდოს მთავრობას. „ღია ბიუჯეტის კვლევის“ წინამდებარე მე-8 რედაქცია 120 ქვეყანას მოიცავს.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს

[www.internationalbudget.org/open-budget-survey](http://www.internationalbudget.org/open-budget-survey) ↗

სადაც შეგიძლიათ ნახოთ „ღია ბიუჯეტის კვლევის“ სრული მეთოდოლოგია, 2021 წლის გლობალური და რეგიონული ანგარიშები, ძირითადი მიგნებები კვლევის მონაწილე ყველა ქვეყნის შესახებ და სხვა მონაცემები.






# გამჭვირვალობა

„ღია ბიუჯეტის კვლევის“ ეს ნაწილი ზომავს იმ ინფორმაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობას, რომელიც შეეხება ცენტრალური მთავრობის მიერ საჯარო რესურსების მოზიდვას და ხარჯვას. კვლევა 109 თანაბარ წონიანი ინდიკატორის გამოყენებით 8 მთავარი საბიუჯეტო დოკუმენტის „ონლაინ“ ხელმისაწვდომობას, დროულ გამოქვეყნებასა და ინფორმაციის სრულყოფილებას შეისწავლის, რის საფუძველზეც ქვეყნებს 0-დან 100-მდე ქულით აფასებს. **61 ან მასზე მაღალი მიღებული ქულა იმას მიანიშნებს, რომ ქვეყანა საბიუჯეტო საკითხებზე ინფორმირებული საჯარო განხილვების მხარდასაჭერად საკმარის მასალას აქვეყნებს.**

საქართველოს **87** ქულა (100-დან) აქვს საბიუჯეტო გამჭვირვალობაში.

## საქართველოს საბიუჯეტო გამჭვირვალობა სხვა ქვეყნებთან შედარებით




მსოფლიოს საშუალო ქულა	45
საქართველო	87
რუსეთი	73
ყაზახეთი	63
ყირგიზეთის რესპუბლიკა	62
აზერბაიჯანი	57
თურქეთი	55
ტაჯიკეთი	16

0 არასაკმარისი 61 საკმარისი 100



# დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა საქართველოს „ღია ბიუჯეტის ინდექსის“ ქულა



## საბიუჯეტო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა საქართველოში

- საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია
- გამოქვეყნდა დაგვიანებით, ან ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი, ან მხოლოდ შიდა მოხმარებისთვისაა
- ⊘ არ შექმნილა

დოკუმენტი	2010	2012	2015	2017	2019	2021
ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები	●	●	●	●	●	●
სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი	●	●	●	●	●	●
სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებული კანონი	●	●	●	●	●	●
მოქალაქის საბიუჯეტო გამკვევევი	⊘	⊘	●	●	●	●
სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშები	●	●	●	●	●	●
სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში	⊘	⊘	⊘	●	●	●
სახელმწიფო ბიუჯეტის თორმეტი თვის შესრულების ანგარიში	●	●	●	●	●	●
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ	●	●	●	●	●	●

## რამდენად ყოვლისმომცველია საქართველოს მთავრობის მიერ გასაჯაროებული საბიუჯეტო დოკუმენტები?

- 61-100 / 100
- 41-60 / 100
- 1-40 / 100

ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტი	დოკუმენტის მიზანი და შინაარსი	შეფასებული ფისკალური წელი	დოკუმენტის შინაარსის შეფასების ქულა
ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები	ასაჯაროებს ფისკალური პოლიტიკის ზოგად პარამეტრებს ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე; აყალიბებს მთავრობის ეკონომიკურ პროგნოზებს, სავარაუდო შემოსავლებს, ხარჯებსა და ვალს.	2021	100
სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი	აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ორგანოში მისაღებად წარდგენილი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა მოცემული შემოსავლის წყაროები, ასიგნებები, პოლიტიკის შემოთავაზებული ცვლილებები და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ქვეყნის ფისკალური მდგომარეობის გასაგებად.	2021	84
სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	საკანონმდებლო ორგანოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებული კანონი.	2021	100
მოქალაქის საბიუჯეტო გამამკვევი	სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ან მისი პროექტის უფრო მარტივად გასაგები და ნაკლებად ტექნიკური ვერსია, რომელიც განკუთვნილია საზოგადოების ინფორმირებისთვის.	2021	58
ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშები	მოიცავს ინფორმაციას სამი თვის მანძილზე მიღებული შემოსავლების, განხორციელებული ხარჯებისა და აღებული ვალების შესახებ.	2020	100
ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში	ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ყოვლისმომცველი განახლებული ინფორმაცია, რომელიც მიმოიხილავს განახლებულ ეკონომიკურ პროგნოზებს.	2020	81
სახელმწიფო ბიუჯეტის თორმეტი თვის შესრულების ანგარიში	აღწერს მთავრობის ფინანსური ანგარიშების მდგომარეობას წლის ბოლოსთვის და, იდეალურ შემთხვევაში, აფასებს საბიუჯეტო პოლიტიკის მიზნების მიღწევის კუთხით არსებულ მდგომარეობას.	2019	85
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ	სახელმწიფოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც აფასებს მთავრობის წლიური ანგარიშების ხარისხსა და სისრულეს.	2019	95

საქართველოს ბიუჯეტის გამჭვირვალობაში 2021 წელს მიღებული ქულა - 87 - 2019 წლის ქულაზე გარკვეულწილად მაღალია.



## რა მიგნებები ჰქონდა 2021 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევას“?

საქართველომ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობა გაზარდა:

- ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშში მეტი ინფორმაციის წარმოდგენით.

### რეკომენდაციები

ბიუჯეტის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად საქართველომ შემდეგი ქმედებები უნდა დაისახოს პრიორიტეტად:

- მოქალაქის საბიუჯეტო გამკვლევის შემუშავებისას საზოგადოების ჩართულობა უკეთ უნდა იყოს უზრუნველყოფილი და აღნიშნული დოკუმენტი უნდა გავრცელდეს სხვადასხვა მედიასაშუალებით, რათა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიამდე მიაღწიოს.
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს უნდა ჩაემატოს ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, მაგალითად, ინფორმაცია სახელმწიფო სანარმოებისთვის გადაცემულ ტრანსფერებსა და მათ კვაზი-ფისკალურ საქმიანობაზე.
- დაიწყოს მონაცემების კვლავ მანქანა კითხვადი ფორმატით გამოქვეყნება.






# საზოგადოების მონაწილეობა

„ღია ბიუჯეტის კვლევის“ ფარგლებში იმის განსაზღვრაც ხდება, თუ რამდენად სთავაზობს მთავრობა საზოგადოებას საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ჩართვის შესაძლებლობას. კვლევა 18 თანაბარ წონიანი ინდიკატორის მეშვეობით აფასებს აღმასრულებელი ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოსა და უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის ამ კუთხით არსებულ პრაქტიკას. აღნიშნული ინდიკატორები „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის“ საზოგადოების მონაწილეობისა და ფისკალური პოლიტიკის პრინციპებთან არის შესაბამისობაში და ქვეყნებს 0-დან 100-მდე ქულით აფასებს.

საბიუჯეტო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის კუთხით საქართველოს **44** ქულა (100-დან) აქვს.


## საქართველოს საზოგადოების მონაწილეობის ქულა სხვა ქვეყნებთან შედარებით



დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ამ [ბმულზე](#) ➔



## საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები



მცირე: 0-40; შებლუდული: 41-60; სათანადო: 61-100

### რეკომენდაციები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის ჩამოყალიბებისას წინა-საბიუჯეტო შემოთავაზებების წარმოდგენის შესაძლებლობა შექმნა, მაგრამ საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფრო გასაზრდელად, მან შემდეგი ნაბიჯების გადადგმა უნდა დაისახოს პრიორიტეტად:

- უფრო პოპულარული გახადოს წინა-საბიუჯეტო შემოთავაზებებისთვის შექმნილი ელექტრონული პლატფორმა და ჩამოაყალიბოს ბიუჯეტის ფორმულირებისა და აღსრულების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის მექანიზმები.
- უნდა დანერგოს საპილოტე მექანიზმები სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისთვის.
- პროცესში აქტიურად ჩართოს საზოგადოების ყველაზე მონყვლადი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფები პირდაპირი გზით ან მათი ინტერესების წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით.






# საბიუჯეტო გედამხედველობა

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ ადგენს, თუ რამდენად შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს და უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტს ბიუჯეტზე ეფექტიანი გედამხედველობის განხორციელება; თითოეული ქვეყანა 18 თანაბარ წონიანი ინდიკატორის მეშვეობით 0-დან 100-მდე ქულით ფასდება. გარდა ამისა, კვლევა აგროვებს დამატებით ინფორმაციას დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების შესახებ (იხილეთ ჩანართი).

მთლიანობაში საქართველოს პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური საბიუჯეტო პროცესზე სათანადო გედამხედველობას უზრუნველყოფენ - ერთობლივი ქულა არის 74 (100-დან). თითოეული ინსტიტუტის ქმედებების ინდივიდუალური შეფასება ქვემოთ არის მოცემული:



სუსტი: 0-40; მემდგრადი: 41-60; სათანადო: 61-100.

## რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტი საბიუჯეტო ციკლის დაგეგმვის და ბიუჯეტის შესრულების ეტაპებზე სათანადო გედამხედველობას ახორციელებს. გედამხედველობის უფრო გასაძლიერებლად შემდეგი ქმედებების განხორციელება უნდა იყოს პრიორიტეტული:

- საპარლამენტო კომიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშები უნდა შეამოწმოს და „ონლაინ“ გამოაქვეყნოს საკუთარი მიგნებები.
- საპარლამენტო კომიტეტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ უნდა შეამოწმოს და „ონლაინ“ გამოაქვეყნოს საკუთარი მიგნებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გასაზრდელად და ბიუჯეტზე გედამხედველობის გასაუმჯობესებლად შემდეგი ნაბიჯების გადადგმა არის რეკომენდებული:

- აუდიტის პროცესის შესწავლა და შეფასება დამოუკიდებელი უწყების მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.





## დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების დანერგვის მზარდი პრაქტიკა

საქართველოში დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუტს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი წარმოადგენს. მისი დამოუკიდებლობა კანონით არის განსაზღვრული და იგი საქართველოს პარლამენტის მიმართ არის ანგარიშვალდებული. აღნიშნული უწყება აქვეყნებს საკუთარ მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს და ანგარიშობს ყველა ახლად შემოთავაზებული პოლიტიკის მოსალოდნელ ხარჯებს.

*\*„ღია ბიუჯეტის კვლევა“ არ მოიცავს დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების შეფასების ინდიკატორებს*



# მეთოდოლოგია

---

- 2021 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ მხოლოდ 2020 წლის 31 დეკემბრამდე გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, მომხდარ მოვლენებს და განხორციელებულ საქმიანობას აფასებს.
- კვლევა ეფუძნება კითხვარს, რომელსაც ყოველ ქვეყანაში ავსებს ბიუჯეტის საკითხების დამოუკიდებელი ექსპერტი:  
ბესო ნამჩავაძე  
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“  
[beso.namchavadze@transparency.ge](mailto:beso.namchavadze@transparency.ge)
- კვლევის შედეგების გასამყარებლად შვესებული კითხვარის პროექტს, აგრეთვე, განიხილავს ანონიმი დამოუკიდებელი ექსპერტი და ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

